დამტკიცებულია გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
სასწავლო საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის N3 საოქმო გადაწყვეტილებით.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -

მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის

2020-2026 წ.წ.

სტრატეგიული განვითარების გეგმა

ქუთაისი, 2019 წელი

ა(ა)იპ გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
(სასწავლო უნივერსიტეტის)
სტრატეგიული განვითარების გეგმა
(2020-2026)

შესავალი

გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია (სმდგომში - გსას), როგორც საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის ნაწილი, „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების - კონკორდატის (მუხ.5, პუნქტი 3), და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებით, ავტორიზაციის განსხვავებული წესით გავლის მიუხედავად, ავტორიზაციის განახლებული სტანდარტებიდან გამომდინარე, გარკვეულწილად ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. შესაბამისად, გელათის სასულიერო აკადემიამ და სემინარიამ განაახლა და ახლიდან შეიმუშავა 7- წლიანი სტრატეგიული გეგმა და, ასევე, 3- წლიანი სამოქმედო გეგმა.

სტრატეგიის დოკუმენტში ასახულია სასწავლო უნივერსიტეტის მისია, მომდევნო 7 წლის პერსპექტივით, მისი განვითარების შესახებ ხედვა, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს გსას სმომავლო განვითარებისათვის.

სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ

1106 წელს მეფე დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებულმა გელათის აკადემიამ, იარსება XVI საუკუნის პირველ ნახევრამდე. თუმცა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 1990 წელს, 500 წლის შემდეგ აღდგა გელათის სასულიერო აკადემია, ასევე უწმინდესის კურთხევით 1995 წელს დაარსდა ქუთაისის წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახ. სასულიერო სემინარია, ხოლო 2001 წლის 16 ივლისის წმ. დავით აღმაშენებლის სახ. საღვთისმეტყველო ინსტიტუტი. რომლებიც კანონიკური სამართლით დადგენილი წესით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ სივრცეში ფუნქციონირებდნენ 2008 წლამდე. ამ თარიღიდან წმ. დავით აღმაშენებლის სახ. საღვთისმეტყველო ინსტიტუტი დარეგისტრირდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირად და გააგრძელა აღნიშნული საღვთისმეტყველო სასწავლებლების საქმიანობა.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – წმ. დავით აღმაშენებლის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის რეორგანიზების შედეგად 2013 წელს ჩამოყალიბდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემიია და სემინარია და გააგრძელა ზემოთაღნიშნული საღვთისმეტყველო სასწავლებლების საგანმანათლებლო, საქმიანობა, რომელიც მართლმადიდებლურ სწავლა-მოძღვრებასა და კულტურაზეა დაფუძნებული და რომლის ძირითად ორიენტირს წარმოადგენს მართლმადიდებლური რწმენისა და ღირებულებების დამკვიდრება და

განმტკიცება; ზოგადქრისტიანული და ქართული მართლმადიდებლური კულტურის ღირებულებათა ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ხელშეწყობა. შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება და პიროვნული პოტენციალის მაქსიმალური რეალიზება.

25.12.2014 წლის 25 დეკემბერს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს№44გადაწყვეტილებით ა(ა)იპ გელათის სასულიერო აკადემია და სემინარიას მიენიჭა ავტორიზაცია.

უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს წარმოადგენს სამი ფაკულტეტი: 1. გელათის სასულიერო სემინარია (ფაკულტეტი); 2. ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი; 3. გელათის სასულიერო აკადემია (ფაკულტეტი).

2014-2015 წლებიდან ფუნქციონირებს, გელათის სასულიერო აკადემიასთან და სემინარიასთან სტუდენტთა შემადგენლობით არსებული, ვაჟთა და გოგონათა ხალხური სიმღერის გუნდი „იადგარი“, რომელიც არაერთი კონკურსის გამრჯვებული და ჯილდოს მფლობელია.
გელათის სასულიერო აკადემიას და სემინარიას საკუთრებაში გააჩნია 776.48 კვ.მ და 654.19 კვ.მ უძრავი ქონება, ორსართულიანი შენობა-ნაგებობით (ორი სასწავლო კორპუსი), კეთილმოწყობილი ეზოთი, რეკრეაციული სივრცით. გელათის სასულიეროაკადემია და სემინარიაში მოქმედებს, ახალი საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად, შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტები, აღჭურვილია ახალი თაობის კომპიუტერებითა და თანამედროვედ კეთილმოწყობილი დისტანციურ სწავლებაზე ადაპტირებული აუდიტორიებით, საკონფერენციო დარბაზით ვიდეოკონფერენციის საშუალებებით,ბიბლიოთეკის მდიდარი წიგნადი და ციფული ფონდით, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემა OPEN BIBLIO–თი, უზრუნველყოფილია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა.

სტრატეგიული დაგეგმის პროცესი

გელათის სასულიერო აკადემიაში და სემინარიაში სტრატეგიული დაგეგმის პროცესის ეფექტიანად ორგანიზების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიით უზრუნველყო სსაწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების ჩამოყალიბება.
სტრატეგიაზე მუშაობის პროცესი წარიმართა პერმანენტული სამუშაო შეხვედრების ფორმატში, ასევე გათვალისწინებულ იქნა და გაანალიზდა რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი:

- კონსტიტუციური შეთანხმება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ (მუხ.5, პუნქტი 3.).
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოქმედი სტრატეგია - „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021”;
- განახლებული უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები.

- სხვა სამართლებრივი აქტები.

სტრატეგიის ფორმირებისას განხორციელდა გსას საქმიანობის ბოლო პერიოდში მიღწეული შედეგების გაანალიზება. შექმნილი ინფორმაციის გათვალისწინებით, გამოიკვეთა ძლიერი და სუსტი მხარეები, შეფასდა განვითარების შესაძლებლობები და რისკები, რის შედეგადაც, შესაძლებელი გახდა სტრატეგიული მიმართულებების, მიზნების და მათ მისაღწევად ამოცანების დასახვა.

სტრატეგიული მიზნების და ამოცანების ფორმირებისას გამოყენებული SWOT ანალიზის შედეგები.

SWOT ანალიზის შედეგები

ინსტიტუციის ძლიერი მხარეები

- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია.
- გსას პერსონალი
- ახალგაზრდა კადრების მოზიდვა და ჩართვა
- პლაგიატის თავიდან არიდების მექანიზმები.
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებები
- გსას სასწავლო და სარეკრეაციო სივრცეები
- გსას ინვენტარი და ტექნიკა
- უსაფრთხო გარემო
- სსსმ პირებისათვის ადაპტირებული გარემო
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა
- საზოგადოების განვითარებაში კონტრიბუცია

ინსტიტუციის სუსტი მხარეები:

- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგის დახვეწა.
- სამიზნე ჯგუფების მოზიდვის მექანიზმები;
- სტუდენტთა საცხოვრებელი/კამპუსის არ არსებობა
- სოციალური, კულტურული, და სხვა ღონისძიებების განხორციელების განხორციელება.
- მცირე ბიუჯეტი.

ინსტიტუციის განვითარების შესაძლებლობები:

- ხარისხის კულტურის ამაღლება
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი გაუმჯობესება
- საბიბლიოთეკო რესურსის მეტი განვითარება
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

საფრთხეები:

- არასტაბილური გარემო განვითარებისთვის (ხშირი ცვლილებები განათლების სისტემაში)

- აბიტურიენტთა სიმცირე
- ბიუჯეტის სიმცირე

გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მისია, ხედვა და ღირებულებები.

მისია:
გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საღვთისმეტყველო, საეკლესიო-საზოგადოებრივი საქმიანობა დაფუძნებულია წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის უცვალებელ სჯულსა და მოძღვრებაზე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიულ ტრადიციებზე.

კანონიკური სამართლის, საქართველოს რესპუბლიკასა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული ხელშეკრულების (კონკორდატის) საფუძველზე და „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონზე“ დაყრდნობით, ახორციელებს თეოლოგიის სამაგისტრო, ქრისტიანული ხელოვნებატმცოდნეობისა და თეოლოგიის საბაკალავრო აკადემიურ პროგრამებს, რითაც ხელს უწყობს სასულიერო პირების საღვთისმეტყველო განათლების ხარისხის ამაღლებას, ასევე ეკლესიისთვის ამზადებს მომავალ სასულიერო კადრებსა და პირებს, რომლებსაც სურთ თეოლოგიაში კვლევითი/სამეცნიერო მოღვაწეობა;

ახორციელებს რა მართლმადიდებლურ სწავლა-მოძღვრებასა და კულტურაზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო საქმიანობას, გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია მოწოდებულია, უბიწოდ დაიცვას უწმინდესი საეკლესიო მოძღვრება და უერთგულოს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციებს.

გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია თავისი მისიის ფარგლებში ხელს უწყობს რწმენისა და ცოდნის ერთიანობაზე, განათლების უწყვეტობასა და მემკვიდრეობითობაზე დამყარებულ საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელიც ემსახურება ერში მართლმადიდებლური რწმენისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას და დამკვიდრებას; ზოგად ქრისტიანული და ქართული მართლმადიდებლური კულტურის, ფასეულობებისა და თეოლოგიური ცოდნის სწავლებას, განმტკიცებასა და პიროვნული პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას.

ხედვა:
გელათის სასულიერო აკადემია და სემინარიის ხედვაა, 2026 წლისათვის წარმოადგენდეს ერთ-ერთ განვითარებულ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც:
მის მიერ განხორციელებული პროგრამებით დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მაღალი ხარისხის განათლებას და შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, ქვეყნიდან გაუსვლელად მიიღონ მაღალი დონის საღვთისმეტყველო განათლება და შეიძინონ როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოთხოვნადი კომპეტენციები.
ხელს უწყობს ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას და ქართული სახელმწიფოებრიობის გაძლიერებას.

ღირებულებები:

თანაბარი შესაძლებლობები - გსას ყველა თანამსრომელს და სტუდენტს უქმნის თვითრეალიზების თანაბარ შესაძლებლობებს.

გამჭვირვალობა და საჯაროობა - გსას საქმიანობის მთელი პერიოდის მანძილზე იყო და არის გამჭვირვალე, როგორც საგანმანათლებლო ასევე საფინანსო და სხვ. მიმართულებით.

სოციალური პასუხისმგებლობა - უნივერსიტეტი აცნობიერებს და აღიარებს მის წილ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე ყველა დაინტერესებული მხარის მიმართ.

სტუდენტზე ორიენტირებულობა - ყველა სიკეთე, რომელსაც ქმნის გსას, ხარისხიანი განათლებით თუ ადამიანის უფლებების აღიარებით, ყოველივე მიმართულია სტუდენტების მიმართ მათი ინტერესების გათვალისწინებისა და ხელშეწყობით.

აკადემიური კეთილსინდისიერება - გსას მიერ აღიარებული კეთილსინდისიერების და მაღალი მორალურ-ეთიკური სტანდარტი სწავლა-სწავლების პროცესში დაცულია პლაგიატის აღმოჩენის სისტემის მეშვეობით.

დაგეგმილი მიმართულებები, მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

სტრატეგიული დაგეგმვით განისაზღვრა ოთხი სტრატეგიული მიმართულება:

I. სწავლება - ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დახვეწას;

II.მიზნობრივი აუდიტორიის მოზიდვა და მათი ხელშეწყობა - რაც ითვალისწინებს სტუდენტების მოზიდვის მექანიზმების განვითარებას.

III. საზოგადოების განვითარებაში კონტრიბუცია - სოციალური, კულტურული, და სხვა ღონისძიებების განხორციელებას და აკადემიური პერსონალის მონაწილეობას საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში;

IV. ინსტიტუციური განვითარება - ითვალისწინებს ორგანიზაციული სტრუქტურის და მართვის გაუმჯობესებას; ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარებას; ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესებას; საბიბლიოთეკო სერვისების და მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარებას.

მიმართულება I. სწავლება

სტრატეგიული მიზანი 1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დახვეწა

სიტუაციური მიმოხილვა:

<u>პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია</u>

გელათის სასულიერო აკადემია და სემინარიას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება როგორც ახალი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების ეტაპზე, ისე მათი განვითარების მიზნით. ამასთან, რადგან იგი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში პირველი საავტორიზაციო ვადით გახლავთ, შესაბამისი მეთოდოლოგიაც მცირე დროის წინ შემუშავდა და მისი გამოყენების პრაქტიკაც ნაკლებია, მომდევნო ეტაპზე იგეგმება პროცესში ჩართული პირების ჩართულობით შეფასდეს აღნიშნული მეთოდოლოგია, დახვეწოს აღნიშნული დოკუმენტი, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების სწორად და მოქნილად განხორციელებას. დაეხმარება პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს, და გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს.

<u>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკა</u>

გსას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების

წესი. იგი შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს არამხოლოდ სტუდენტი სასწავლო კურსის დონეზე, არამედ კურსდამთავრებული, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან მიმართებით. სამომავლოდ იგეგმება აღნიშნული მეთოდოლოგიის დახვეწა.

<u>პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები და პროცესები</u>

უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით მოწესრიგებულია საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების საკითხები.

მომეტებული ფორმალობის თავიდან აცილების მიზნით და პროცედურის მოქნილობის თვალსაზრისით, საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესების დახვეწით სამომავლოდ, პროგრამაში ნებისმიერ სასწავლო კურსში საჭიროებების გათვალისწინებით, მარტივად არის შესაძლებელი საჭირო ცვლილებების განხორციელება. რათა, ლექტორს თავისუფლად შეეძლოს, საკუთარი აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, სილაბუსის ცვლილება, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ამ პროცესის ხედვის და პრაქტიკაში დაკვირვების საშუალება აქვს.

ამდენად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგი სახით:

ამოცანა 1.1: პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის/წესების ანალიზი. დაინტერესებული პირების ჩართულობით და მიღებული შედეგების გათვალისწინებით საჭირო ცვლილებების განხორციელება/საჭირო აქტივობების დაგეგმვა;

ამოცანა 1.2: სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკის განვითარება;

ამოცანა 1.3: საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების დახვეწა.

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

გაუმჯობესებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

- განვითარებულია სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკა;
- პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმებისპროცედურები უფრო ოპტიმალური და მოქნილია.

მიმართულება II. მიზნობრივი აუდიტორიის მოზიდვა და მათი ხელშეწყობა

სტრატეგიული მიზანი 2. სტუდენტების მოზიდვა

სიტუაციური მიმოხილვა:

სტუდენტების მოზიდვის მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა სახის საინფორმაციო კამპანიას, როგორიცაა ღია კარის დღე, რეკლამა სოციალურ ქსელში, სარეკლამო/საინფორმაციო ფლაერების გავრცელება, ვიდეო რგოლები და ა.შ.

უნივერსიტეტი გეგმავს სტუდენტების მოზიდვის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში მიდგომების შეცვლას და სტუდენტების მოზიდვის მიზნით ახალი ღონისძიებების დაგეგმვას;

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგი სახით:

ამოცანა 2.1. სამიზნე ჯგუფების მოზიდვის მექანიზმების განვითარება.

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:
გაუმჯობესებულია სტუდენტების მოზიდვის მექანიზმები;

სტრატეგიული მიზანი 3. სტუდენტური ცხოვრების განვითარება

სიტუაციური მიმოხილვა:
გსას მომდევნო წლების მანძილზეც იზრუნებს სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებაზეც. ხორციელდება სასწავლებელთან არსებული ვაჟთა და გოგონათა ხალხური სიმღერის ანსამბლის აქტიური ხელშწყობა. ამ მხრივ, საკმაოდ აქტიური და მრავალფეროვანია გსას სტუდენტური ცხოვრება. ასევე, დაგეგმილია, წარმატებული სტუდენტების წამახალისებელი ღონისძიებების გატარება.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგი სახით: ამოცანა
3.1. სტუდენტური შემოქმედებითი/სახელოვნებო და სხვა მიმართულებით ცხოვრების განვითარება.

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:
სახელოვნებო ან სხვა მიმართულებით წარმატებული სტუდენტების წახალისებისათვის გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები;
- განხორციელებულია საჯარო ლექციები და დისკუსიები სტუდენტებისათვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებზე;

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:
სტუდენტებს უკეთ აქვთ განვითარებული პრაქტიკული უნარები
სტუდენტებს აქვთ უკეთესი თვითპრეზენტაციის უნარი.

მიმართულება III. საზოგადოების განვითარებაში კონტრიბუცია

სტრატეგიული მიზანი 4. ინსტიტუციური პოტენციალის საზოგადოებისათვის სასარგებლოდ გამოყენება

სიტუაციური მიმოხილვა:
გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია მიზნად ისახვს, საკუთარი რესურსით წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში და ამ მიზნით, რეგულარულად ახორციელებს კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობას. ამასთან ერთად მომავალში აქტიურად გეგმავს სოციალური, და სხვა სახის ღონისძიებების ჩატარებას, მათ შორის საჯორო ლექციათა ციკლის აქტიურ განხორციელებას, საზოგადოებისთვის საინტერესო/მნიშვნელოვან, თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე თეოლოგიურ ჭრილში გნსახილველ სხვადასხვა საკითხებზე.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგი სახით:
ამოცანა 4.1. სოციალური, კულტურული, და სხვა ღონისძიებების განხორციელება და საჯარო ლექციათა ციკლის აქტიური დაგეგმვა/განხორციელება.

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:
განხორციელებულია კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა. ამასთან ერთად აქტიურად მიმდინარეობს სოციალური, და სხვა სახის ღონისძიებების ჩატარებას. საჯორო ლექციათა ციკლის აქტიური განხორციელება, საზოგადოებისთვის საინტერესო/მნიშვნელოვან, თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე თეოლოგიურ ჭრილში გნსახილველ სხვადასხვა საკითხებით მიიღწევა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ზოგადად გათთვითცნობიერება წმ. მამების ხედვებზე და მოსაზრებებზე დღეისათვის საზოგადოებისათვს აქტუალურ/მნიშვნელოვან ბევრ საკითხებზე. რაც ასევე ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.

მიმართულება V. ინსტიტუციური განვითარება

სტრატეგიული მიზანი 5. ორგანიზაციული სტრუქტურის და მართვის გაუმჯობესება
სიტუაციური მიმოხილვა:
<u>სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი</u>

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მხრიდან რეგულარულად განხორციელდება შესაბამისი ანგარიშების წარდგენა. განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების და ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროების მიხედვით მოხდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განახლება.

<u>მართვის ეფექტიანობა</u>
გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ინსტიტუციური განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მართვის ეფექტიანობის მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვა. ამისათვის დაიგეგმა მექანიზმების შემუშავება, რომლის მეშვეობითაც შეფასდება მართვის ეფექტიანობა, გამოიკვეთება გასაუმჯობესებელი მხარეები და საჭიროების შემთხვევაში გატარდება შესაბამისი ცვლილებები. ამდენად, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებულია შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა.

<u>გსას-ში მიმდინარე საქმიანი პროცესები და მისი უწყვეტობის უზრუნველყოფა</u>
ინსტიტუციის მდგრადი განვითარებისათვის გსას-ში ხშირად ეწყობა სამუშაო შეხვედრები, სადაც განიხილება თითოეული საქმიანი პროცესი და აღნიშნული პროცესის უფრო კოორდინირებულად ჩატარებისათვის ხდება შეთანხმება რიგ საკითხებთან დაკავშირებით. დაგეგმილია ამ მექანიზმის გაუმჯობესება, მოხდება სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობის და კოორდინაციის ხარისხის შეფასება და საჭიროებების იდენტიფიცირება, შეფასების შედეგების გათვალისწინებით უკეთ გაიწერება სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობის სფეროები. მართვის ეფექტიანობას ასევე მნიშვნელოვნად გაზრდის ელექტრონული

დოკუმენტბრუნვის დანერგვის აუცილებლობას.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ამოცანა 5.1. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი.

ამოცანა 5.2. მართვის ეფექტიანობის შეფასება და განვითარება

ამოცანა 5.3. საქმიანი პროცესების გაუმჯობესება

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

- განხორციელებულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი;
- განხორციელებულია მართვის ეფექტიანობის შეფასება საჭიროების შემთხვევაში, გატარებულია საჭირო ცვლილებები;
- გაუმჯობესებულია საქმიანი პროცესები: შეფასებულია სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობის და კოორდინაციის ხარისხი. შეფასების შედეგების გათვალისწინებით სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების და პასუხისმგებლობის სფეროები უკეთ არის აღწერილი;
- დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა;

სტრატეგიული მიზანი 6. ხარისხის უზრუნველყოფა

სიტუაციის მიმოხილვა

გელათის სასულიერო აკადემიაში და სემინარიაში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ეფუძნება უწყვეტობის პრინციპს და ითვალსიწინებს - დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და განვითარების ფაზების მუდმივ მონაცვლეობას. აღნიშნული მიდგომა, გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველსაყოფად , თუმცა

გსას მიზნად ისახავს, იზრუნოს ხარისხის კულტურის ამაღლებაზე და უზრუნველყოს გამჭვირვალე სისტემა. გეგმიური ვადის განმავლობაში განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტიანობის შეფასება, პერსონალის მუშაობის შეფასება, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმის და სამიზნე ნიშნულების შეფასება, ხარისხის სამსახურის მუშაობის შეფასება და საჭირო პროცედურული ცვლილებების განხორციელება.

საგანმანათლებლო პროგრამების როგორც შემუშავების, ასევე, განხორციელების ეტაპზე მისი შეფასების და ცვლილებების პროცესის ეფექტურობისთვის, უმნიშვნელოვანესია დაინტერესებული პირების ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი მოსაზრებების მაქსიმალური გათვალისწინება.

სტუდენტების, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის გამოკითხვები უნივერსიტეტში პერიოდულობით ხორციელდება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული სასწავლო კურსის დონეზე შეფასებას არ ჰქონდა

სისტემატიური ხასიათი და მომავალში ყოველი სემესტრის ბოლოს სისტემატიურად განხორციელდება სტუდენტების გამოკითხვა სასწავლო კურსების დონეზე. პერიოდულ გამოკითხვებში დაინტერესებული პირების (სტუდენტები, ლექტორები, დარგის სპეციალისტები, და სხვა.) ჩართულობით განხორციელდება ცვლილებების საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი ცვლილებების გატარება.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგნაირად:
ამოცანა 6.1. ხარისხის კულტურის ამაღლება
ამოცანა 6.2. მიზნობრივი კვლევების განხორციელება
ამოცანა 6.3. გამოკითხვების მოდულის დამატება პროგრამულ უზრუნველყოფაში

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:
- გაზრდილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტიანობა (პერსონალის შეფასების სისტემის შეფასება და დახვეწა; პროგრამის შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმის შეფასება და დახვეწა; უსდ-ს მიერ მიწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასების მექანიზმების შეფასება და დახვეწა; სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმის და სამიზნე ნიშნულების შეფასება; ხარისხის სამსახურის მუშაობის შეფასება და საჭირო პროცედურული ცვლილებების განხორციელება);
- გაზრდილია დაინტერესებული პირების ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფაში (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები, ლექტორები, დარგის სპეციალისტები).
- განხორციელებულია დაინტერესებული მხარეების მიზნობრივი, გამოკითხვები სწავლების, კვლევის და სხვა სახის მიწოდებული სერვისების შესახებ, შინაარსის გათვალისწინებით (სტუდენტთა გამოკითხვა; ლექტორების გამოკითხვა; დარგის სპეციალისტების გამოკითხვა; ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა)

სტრატეგიული მიზანი 7. ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება

სიტუაციური მიმოხილვა:
გელათის სასულიერო აკადემიას და სემინარიას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოზიდვის და შენარჩუნების გზებს, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის პირობებს, უნივერსიტეტის მართვის პროცესში გამჭვირვალე გადაწყვეტილებების მიღებას, ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრირებას, წახალისების ღონისძიებების გატარებას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.
სამომავლოდ ასევე დაგეგმილია ადამიანური რესურსის სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება. იგეგმება გელათის სასულიერო აკადემიის და სემინარიის მონაწილეობა დაზღვევის ანაზღაურებაში 30%-ით.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგნაირად:
ამოცანა 7.1. თანამშრომელთა შეფასების და საჭიროებების დადგენის მიზნით კვლევების

განხორციელება

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:
- უნივერსიტეტში განხორციელებულია თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა;
- უნივერსიტეტში განხორციელებულია თანამშრომელთა შეფასება და გატარებულია შემდგომი წახალისების ღონისძიებები;
- გაუმჯობესებულია სამიზნე ნიშნულები.

სტრატეგიული მიზანი 8. საბიბლიოთეკო სერვისის განვითარება

სიტუაციური მიმოხილვა:
გელათის სასულიერო აკადემიას და სემინარიას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც მომსახურებას უწევს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს, პერსონალს, ასევე, სხვა დაინტერესებულ პირებს. რეგულარულად ხორციელდება წიგნადი ფონდის განახლება. წიგნებისა და ბაზების გამოყენების სტატისტიკის მონიტორინგი და შედეგების მიზნობრივად გამოყენება. სტატისტიკის და მომხმარებელთა საჭიროებების გათვალისწინებით ბაზების ჩამონათვალის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილება.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგნაირად:
ამოცანა 8.1. მომხმარებელზე ორიენტირებული გარემოს განვითარება
ამოცანა 8.2. საბიბლიოთეკო რესურსის პერიოდული განახლება

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:
- შემუშავებულია საინფორმაციო ხასიათის ინსტრუქციები გსას ბიბლიოთეკის მომხმარებლებისათვის;
- მოთხოვნადი ლიტერატურა გაციფრულებულია და სახელმძღვანელოებზე გაზრდილია ხელმისაწვდომობა;
- გამდიდრებულია ბიბლიოთეკის ფონდი;
- განხორციელებულია სტუდენტებისა და პერსონალთან ბიბლიოთეკის რესურსებთან და სერვისებთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრები/ტრენინგები/ კონსულტირება;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა არის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი;
- ბიბლიოთეკა ზედმიწევნით ითვალისწინებს მომხმარებელთა საჭიროებებს.

სტრატეგიული მიზანი 9. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება

სიტუაციური მიმოხილვა:
გელათის სასულიერო აკადემიას და სემინარიას აღჭურვილია საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური რესურსით. სათანადო აღჭურვილობის აუდიტორიები, უახლესი ტექნიკა, საბიბლიოთეკო რესურსი და საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომა, სასწავლო და სარეკრეაციო სივრცეები ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობის

მიზნების მიღწევას. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები რეგულარულად ახლდება. გეგმიურ ვადაში იგეგმება საუნივერსიტეტო ინფრასქტრუქტურის კვლავ გაუმჯობესება, გარდა მოძველებული ტექნიკის ახლით ჩანაცვლებისა, დაგეგმილია საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურის განვითარება,

უზრუნველყოფილია ინტერნეტის უწყვეტი მომარაგება.
ასევე დასახულია სარეკრეაციო სივრცეების განვითარება.

დაიხვეწება ასევე საინფორმაციო რესურსი. მოხდება ელექტრონული სერვისების და მართვის ელექტრონული სისტემების დანერგვა/განვითარება, დისტანციური ლექციების ტექნიკური უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის არქივის მდგომარეობის შეფასება და საჭიროეისამებრ დახვეწა.

ასევე დაიგეგმა ფინანსური რესურსის გაზრდის მიზნით წლის ბოლოს, წლიური ბალანსის შესაბამისი მუხლით საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოყოფილი სუბსიდიის გაზრდის მოთხოვნა. საქმიანობის განსახორციელებლად უნივერსიტეტს აქვს დაფინანსების ერთი ძირითადი წყარო: საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოყოფილი სუფსიდია.

შესაბამისად, სტრატეგიული ამოცანები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ამოცანა 9.1. საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ამოცანა 9.2. საინფორმაციო რესურსის განვითარება

ამოცანა 9.3. ფინანსური რესურსის და მისი მართვის სისტემის განვითარება

სტრატეგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელი შედეგები:

- გაუმჯობესებულია გსას ინფრასტრუქტურა;

განახლებულია საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი სასწავლო და სხვა სახის ინვენტარი;

განახლებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა) საჭიროების შესაბამისად;

გსას ინფრასტრუქტურა პასუხობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების საჭიროებებს;

გაუმჯობესებულია საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურა;

განხორციელებულია უსაფრთხოების და სანიტარული მდგომარეობის საჭირო პერიოდულობით მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები;

საკონფერენციო დარბაზები და აუდიტორიები უზრუნველყოფილია ლედ-მონიტორებით; შენობაში განთავსებულია საინფორმაციო დაფები;

მოწყობილია პანდუსი;

გაზრდილია აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე;

გაუმჯობესებულია სარეკრეაციო სივრცეები;

- განვითარებულია საინფორმაციო რესურსი:

განვითარებულია ვიდეო ჩანაწერების შენახვის მექანიზმები;

განხორციელებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასება;

უნივერსიტეტს აქვს დისტანციური ლექციების ტექნიკური უზრუნველყოფა;

- განვითარებულია ფინანსური რესურსი და მისი მართვის სისტემა:

შემუშავებულია წლიური ბიუჯეტი და განხორციელებულია შესაბამისი ანგარიშგება;

სტრატეგიის შესრულების მონიტორინგის მექანიზმი

სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო უნივერსიტეტის სტრატეგია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების/შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაციის შეჯამებას, გაანალიზებას და შესაბამისი ანგარიშის წარდგენას.

სტრატეგიული მიმართულებისა და აქტივობების პრიოტეტულობის განსაზღვრა

სტრატეგიული დაგეგმვის შემდგომ, მოხდა შემუშავებული სტრატეგიული მიმართულებიდან გამომდინარე აქტივობების პრიორიტეტულობის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც, ობიექტური მდგომარეობის გათვალისწინებით განისაზღვრა, თუ რომელი სტრატეგიული მიმართულება და აქტივობა უნდა განხორციელდეს უპირველესყოვლისა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს უნივერსიტეტის მისიისა და დასახული მიზნების ეფექტიანი მიღწევა. ყველა მაღალი პრიორიტეტის მქონე სტრატეგიული მიმართულებითა და აქტივობით მოხდა გსას 3 წლიანი სამოქმედო გეგმის ფორმირება.

ა მ ო ც ა ნ ა	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026
მიმართულება I . სწავლება							
სტრატეგიული მიზანი 1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დახვეწა							
ამოცანა 1.1: პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის/წესების ანალიზი. დაინტერესებული პირების ჩართულობით და მიღებული შედეგების გათვალისწინებით საჭირო ცვლილებების განხორციელება/საჭირო აქტივობების დაგეგმვა;							
ამოცანა 1.2: სწავლის შედეგების შეფასების პრაქტიკის განვითარება;							
ამოცანა 1.3: საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების დახვეწა.							
მიმართულება II. მიზნობრივი აუდიტორიის მოზიდვა და მათი ხელშეწყობა							
სტრატეგიული მიზანი 2. სტუდენტების მოზიდვა							
ამოცანა 2.1. სამიზნე ჯგუფების მოზიდვის მექანიზმების განვითარება.							
სტრატეგიული მიზანი 3. სტუდენტური ცხოვრების განვითარება							
ამოცანა 3.1. სტუდენტური შემოქმედებითი /სახელოვნებო ცხოვრების განვითარება.							
მიმართულება III. საზოგადოების განვითარებაში კონტრიბუცია							
სტრატეგიული მიზანი 4. ინსტიტუციური პოტენციალის საზოგადოებისათვის სასარგებლოდ გამოყენება							
ამოცანა 4.1. სოციალური, კულტურული, და სხვა ღონისძიებების განხორციელება.							
მიმართულება IV. ინსტიტუციური განვითარება							

სტრატეგიული მიზანი 5. ორგანიზაციული სტრუქტურის და მართვის გაუმჯობესება **სიტუაციური მიმოხილვა:**							
ამოცანა 5.1. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი.							
ამოცანა 5.2. მართვის ეფექტიანობის შეფასება და განვითარება							
ამოცანა 5.3. საქმიანი პროცესების გაუმჯობესება							
სტრატეგიული მიზანი 6. ხარისხის უზრუნველყოფა							
ამოცანა 6.1. ხარისხის კულტურის ამაღლება							
ამოცანა 6.2. მიზნობრივი კვლევების განხორციელება							
ამოცანა 6.3. გამოკითხვების მოდულის დამატება პროგრამულ უზრუნველყოფაში							
სტრატეგიული მიზანი 7. ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება							
ამოცანა 7.1. თანამშრომელთა შეფასების და საჭიროებების დადგენის მიზნით კვლევების განხორციელება							
სტრატეგიული მიზანი 8. საბიბლიოთეკო სერვისის განვითარება							
ამოცანა 8.1. მომხმარებელზე ორიენტირებული გარემოს განვითარება							
ამოცანა 8.2. საბიბლიოთეკო რესურსის პერიოდული განახლება							
სტრატეგიული მიზანი 9. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება							
ამოცანა 9.1. გსას ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება							
ამოცანა 9.2. საინფორმაციო რესურსის განვითარება ამოცანა 9.3. ფინანსური რესურსის და მისი მართვის სისტემის განვითარება							